ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №14

ქ. თბილისი 11 აპრილი 2013 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე კახაბერ ნიაური

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ლევან გეგეშიძე

კომისიის წევრები: ნინო გვენცაძე, დავით აბულაძე, გია აბულაძე, გიორგი ჩაჩანიძე, მანუჩარ მახათაძე.

მოწვეულები: ი. მერაბიშვილი, ირ. ფირანაშვილი, ვ. ცომაია, გ. სულაბერიძე, ლ. ჩიქოვანი, ლ. ყავლაშვილი, თ. ესიავა, ნ. არჩვაძე, ზ. შარაშენიძე, მ. ცუხიშვილი, გრ. ხელაძე, გ. მშვილდაძე, დ. ჩხარტიშვილი, კ. ძლიერიშვილი, მ. ტყემალაშვილი, ი. ცაგარეიშვილი, ლ. ტატიშვილი, კ. კობალაძე, მ. კვესელავა, თ. კლდიაშვილი, დ. კოდუა, ა. რამიშვილი, ლ. ოქროპირიძე, ა. ცხოვრებაშვილი, ვ. მარგველაშვილი, ჯ. ვაშაყმაძე, ვ. პავლიაშვილი, გ. ირემაშვილი, ს. გეწაძე, ნ. რაზმაძე, ლ. მარშანია, რ. ოსიტაშვილი, ილ. გიორგაშვილი, კ. მხეიძე, ალ. ნატროშვილი, შ. ბახტაძე, ჯ. გრიგალაშვილი, ბ. კურტანიძე, თ. ბეჟანიშვილი, ლ. ლომსაძე, გ. სიდამონიძე, ირ. მესხიშვილი, გ. ბიწაძე, გ. ხვიჩია, მ. ვარდოსანიძე, გ. ბერიძე, გ. შარიქაძე, დ. კეკელია, ნ. ჭოხონელიძე, ნ. მერმანიშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

7. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ქ. №34/36-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.005.008), ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – გრ. ხელაძე, გ. მშვილდაძე, დ. ჩხარტიშვილი).

8. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, თარხნიშვილის ქ. №№2,3 სამშობიარო სახლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.02.006.014) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – კ. ძლიერიშვილი, მ. ტყეშელაშვილი).

9. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, იოსელიანის ქ. №14-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ი. ცაგარეიშვილი, ლ. ტატიშვილი).

10. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ჯიქიას ქ. №9-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – კ. კობალაძე, მ. კვესელავა).

11. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ზ. ფალიაშვილის ქ. №86-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული მრავალბიანიანი საცხოვრებელი სახლისთვის აივნების წინ წაწევის ხარჯზე ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – თ. კლდიაშვილი, დ. კოდუა).

12. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დადიანის ქ. №106, კავთისხევის ქ. №19ა–ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.12.028.038) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ა. რამიშვილი).

13. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაშლიჯვარის დასახლებაში, №13ა კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.10.021.024) მშენებარე მრავალფუნქციურ საცხოვრებელ სახლზე სართულის დაშენების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ლ. ოქროპირიძე, ა. ცხოვრებაშვილი).

დადგენილი პარამეტრები –კ1=0,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,9.

აზრი გამოთქვეს:

- არ არის მისაღები. შეუსაბამოა მოთხოვნილი ფუნქციით განვითარება.
- არ არის მისაღები. ტერიტორია მცირეა, არ აქვს მისასვლელი გზა, არ აქვს პარკინგი, მიმდებარედ სკვერია, აკლია დასაბუთება.
- არ არის მისაღები. მიწის ნაკვეთის ფართობი არ იძლევა სრულყოფილი ობიექტის ფუნქციონირების საშუალებას. პარკინგების არ ქონა, მისასვლელი გზის პრობლება.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. მიწის ნაკვეთს არ გააჩნია მისასვლელი გზა, მდებარეობს სკვერში. ნაკვეთის პარამეტრებიც მცირეა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის. ვერ ხერხდება ავტოსადგომებით უზრუნველყოფა. მოკლედ, წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი არ არის ურბანული ნაკვეთი მოთხოვნილი პარამეტრებისთვის.

უარი ეთქვას ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ქ. №34/36-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.005.008), ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

რეკომენდაცია: მიწის ნაკვეთის ფართობი არ იძლევა სრულყოფილი ობიექტის ფუნქციონირების საშუალებას. შეუსაბამოა მოთხოვნილი ფუნქციით განვითარება

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

8. კ. ძლიერიშვილის ინფორმაცია ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, თარხნიშვილის ქ. №№2,3 სამშობიარო სახლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.02.006.014) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – კ. ძლიერიშვილი. AR 1122530
დადგენილი პარამეტრები – კ2=2,1, კ2=4,6.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ2=2,5. კ2=5,5.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

- მისაღებია. სასურველია არ ჰქონდეს შენობას ერკერები, რომლებიც ძალიან ავიწროვებენ ქუჩას.
- მისაღებია.
- მისაღებია. მე შევწევდი შენობას, ანუ განუსაზღვრავდი მოშენების ხაზს ქუჩის გაფართოვების მიზნით.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, თარხნიშვილის ქ. №№2,3 სამშობიარო სახლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.02.006.014) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტები განისაზღვროს: კ2=2,5. კ2=5,5.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

9. ი. ცაგარეიშვილის ინფორმაცია ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, იოსელიანის ქ. №14-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ი. ცაგარეიშვილი. AR 1122545
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5, კ2=2,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,7, კ2=4,2.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, იოსელიანის ქ. №14-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, კარგარეთელის ქ. №2ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ1=0,6. კ2=3,0.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე კახაბერ ნიაური

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ლევან გეგეშიძე

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 736

« 17 » აპრილი 2013 წ.

ქ. თბილისში, თარხნიშვილის ქ. №№2,3 სამშობიარო სახლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.02.006.014), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 11 აპრილის სხდომის №14 ოქმის შესაბამისად:

1.ქ.თბილისში, თარხნიშვილის ქ. №№2,3 სამშობიარო სახლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.02.006.014), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტების (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=2,5. 5,5.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი.” ს/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში: GE07LB0125152101628487.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა